

კ ვ ა ლ ი



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახაბიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 42.

ოქტომბერი 9, 1894 წ.

№ 42.

შინაბრძოლა: ფურცელი ხელმწიფე იმპერატორის ტანთელობისა. — იერეთის და გურია-სამეგრელოს დებუტატთა კრება ქუთაისში ქართველთა დღისა. — საყურადღებო ამბები. — ღია სურათი ბ-ნ ბესარიონ შატავისთან კ. თავართქილაძისა. — ჩემს ვარსკვლავს დღესაც ცხელია. — შვირუ შენიშენა გულგაცვებულსა. — პრეტენზია მუფე. — პარტახი. მოთხრობა ემა სინოპოლითა. — ორიენტალი. სტატია მე-X საუკუნისათვის კონგრესი ქ. უფრეშისა. — ანისი. — ოსმალეთის სომხეთის საერო გამგეობის წესდების შედგენა ტერ-დგიითან სი. — მოგზაურობა შვეიცარიაში საზღვარ-გარეთელთა. — განცხადებანი.

ბ-ნ შინაგან საქმეთა მინისტრის ტელეგრაფი ბ-ნ ტვილისის გუბერნატორთან.

ფურცელი ხელმწიფე იმპერატორის ტანთელობის შესახებ.

4 ოქტომბერი. თირკმელების ავთომყოფობა არ შეუძლებელია. ძალი აკლდება. ექიმები იმედოვნებენ, რომ ყირიმის ჰერი კეთილათ იმოქმედებს შათი დიდებულების ჯანმრთელობაზე.

5 ოქტომბერი. ღამის 11 საათზე, ხელმწიფე იმპერატორი უკეთ არ არის. გულის სისუსტე ემატება, ხელს აწერენ პროფესორები: ლეიღენი, ზახარინი, ლეიბ ხირურგი გირში, ექიმი პაპოვი და ლეიბ ხირურგი ელიამინოვი.

იმერეთის და გურია-სამეგრელოს სამღვდელთა დებუტ. კრება ქ. ქუთაისში

უთათის სასულიერო სემინარიის დაარსება თანასწორად სასიხარულოა, როგორც სამღვდელთა, აგრეთვე საერთაობისა, რად-

გან ამ სემინარიაში საერო წოდების შეიღებულნი იყვნენ, როგორც სამღვდელთა (საეროსას — მხოლოდ სწავლის უფლებებისთვის ფულის გადახდით).

უწიღეს სინოდის უქაზის საფუძველზე ყოველ სამღვდელთა გაბრიელმა მოიწვია ორივე ეპარქიის სამღვდელთათვის არჩეული დებუტატები. დანიშნულს დღეს ე. ი. 28 ენკენისთვის შეკრება 90 დებუტატი. თავმჯდომარეთ აირჩიეს დეკ. დ. ლამბაშიძე, დამტკიცებულ იქნა თავმჯდომარე თუ არა, მაშინვე მოხდა კრებაში ყოველ სამღვდელთა — გაბრიელი და გრიგოლი; ჯერ გაბრიელმა და შემდეგ გრიგოლმა სამღვდელთა მიმართეს მოკლე სიტყვით, მერე აკურთხეს სამღვდელთა და წაბანდნ. კრება შეუდგა საქმის გარჩევას. უპირველესი მიზანი შათი შეკრებისა იყო ახლათ დაარსებული სემინარიისათვის რაიმე წყარო მოეძებნათ და შემწეობა აღმოეჩინათ. გურია-სამეგრელოს დებუტატებმა მოითხოვეს: პირველად მსჯელობა ექონიით იმაზე, თუ ქუთაისის რომელ მხარეზე შენდეს სახლი. იმერეთის სამღვდელთა უპასუხა, რომ ადგილის არჩევის შესახებ ჩვენ არავითარი მო-

ნდობილება არა გვაქვსო. ატყდა ამაზე ერთი დაუბლოცებელი დაფა ყოჩინი, გურია სამეგრელოს სამღვდლოებას ზოგიერთი იმერეთის სამღვდლოებაც მიერზრო და სამკმე მებრდ გამწვადა. მართალი უნდა მოგახსენოთ, თუმცა უბრალო დაყინება იყო: არა ამ მხარეს აეაშენათ და არა ამ მხარესო, მაგრამ მაინც საინტერესო საყურებელია, როდესაც გაცხარებულათ სჯიან და ბასაბენ ერთი-მეორეს წინააღმდეგი დასები, დასები ახალგაზნად და სიცოცხლით საუფ საღვდლოებისა, რომელსაც შეტქერიან შიგა-და-შიგ უფრო ხანში შესულები, უყურებენ მათს მკვირტოს მსჯელობას, მოსაწონი მოწონთ, ილიმებიან და როცა არ მოეწონებათ რამე ამ დროს ნაღელიანობას ატყობთ. საინტერესოა ნამეტურ მაშინ, როდესაც ორივე მხარე დარწმუნებულია თავიანთ მოსახზების სინამდვილეზე. სიტყვის თქმის დროს ორივე აყრიდენ ერთი-მეორეს სიტყვამოსწრებულ პასუხს სხვა-სხვაობით... ყოელად სამღვდლო გავრცელება არ მისცა პირველად ნება კრების ადგილის არჩევისა, მაგრამ როდესაც თავმჯდომარემ მოახსენა საქმის ამ გვარად გამწვაება, დართო ნება: იქონიონ ნება ადგილის არჩევაზედაცო. ამას შემდეგ კრებამ ამოარჩია კამისათ შვილი კაცი (თითო მხარიდან თითო კაცი). ამთ დაავლეს სემენარის სახლის დასადგმელი ადგილის არჩევა ამას გარდა კიდევ ოთხი პროტოკოლი დაადგინეს: 1) ერთ დროებით სემენარის შესაწყენელათ მოიბოქოს თითოეული შტატზე ხუთ-ხუთი მანათი (2 მ. და 50 კ. მღვდელ-მღვდელი) თან და 2. და 50 კ. კეღისის შემოსავლიანი). 2) სახლის ქარხნები-და რაც შემოსავალი დარჩეს, ესეც ამ ხუთ-ხუთ მანათს მიემატოს შესაწყენელათ სემენარისა. *) 3) თხოვრის უფიშდეს სინოდს, რომ 40 შავირდის მაკირ 50 შავირდ მიიღებოდეს ყოველ წლიებით. და მე-4) მოგვეცეს ნება, რომ დაიბეჭდოს ყოველ დღიური თენი (ამ წიგნს გულთანაც ეძახიან), რომელიც მონატრებში ბეგრან მოპოავენა ხელ-ნაწერი და ჯერ დაბეჭდული არ გვაქვს და დაუთრადეს ეკლესიებსო. როგორ თქვენს კრებაზე, ამ წიგნის ბეჭედა

წინეთ უნდა ყოფილიყოს დაწყებული და რამდენიმე თვის დაბეჭდილიც უნდა იყოს.

ამას შემდეგ აირჩიეს სემენარის „ჩლონები“; 2 ნამდვილი „ჩლონები“ და ორი მათი „კანდიდატები“. არჩევის დროს, თუ ვისიმე გამწვაბა უნდოდათ, სამეგრელოს მღვდლები წასწორებულბდენ გურის მღვდლებს: „უტუ, უტუო“ და ეთი იმ ამოსარჩევის ბრალი, ჩხოსაეთი მიყრიდენ შეშში. „უტუ“ *) ნიშნავს მეგრულად: არ ნდომას, ანუ დაწუნებას ვისიმესა.

ზემოაღნიშნულ დადგენილობათა შემდეგ დეპუტატთა უმრავლესობა მიხედა, რომ გაბრიელ ეპისკოპოსის ნდობა რათ გაცეკალეთ შვიდი კაცის ნდობაზეო (კომისის) სემენარის ბინის შესახებო. დაიწყეს ძახილი: არ გვინდა კომისია, არ გვინდაო. ეს ხმა და სტრეილი ორივე ეპარქიის დეპუტატთა უმრავლესობისაგან იყო შემდგარი. ამ დროს რამდენიმე დეპუტატი გურია მეკრელიისა ცალკე ოთახში გვიდა. დაწყეს ის განცხადება და თავმჯდომარეს მისცეს: მათი ყველა განაჩენი ამ კრების უკანონოა და ამიტომ არც ერთს თქვენს დადგენილებაზე ჩვენ ხელს არ ვაწერთო.

კრება ამით გათავდა პირველ მწიფობისთვის. იმერეთის ეპარხიის დეპუტატებმა ყველა დადგენილებაზე მოაწერეს ხელი. აგრეთვე მოაწერეს ხელი რამდენიმე გურია სამეგრელოს ეპარქიის დეპუტატებმა: ამ სახით ეს საკითხი ჯერ გადაუწყვეტილა; იგი გადაიღვა მეორე კრებისათვის.

ერთი ახალი და სასიამოვნო ამბავიც უნდა მოგახსენოთ. კრებამ დეპუტათ მიმართა ობერპროკურორის ამხანავს ბ-ნ საბურს: დართეთ ნება იმ შავირდებს, სემენარიაში შესვლისა, რომელიც გამოცდილის იქმნეს სემენარიაში მისაღებად, მაგრამ გამოცდილის დროს თათო „დეოაკები“ მიიღესო. იმ მოსწავლეთა საბედნიეროთ მოვიდა პასუხი, რომ მიღებულ იქმნას ეს დეოაკებიანი მოსწავლეებიცო.

ქართველ შვილთა

*) ამას ისიც დასწინეს, რომ თუ ახალი შესახის საფუძველზე მათ მიუკმეათ ვაძკიანი, კამან ისინი გადადგუეს იქიდან საყოველწაოდ შესაწყენ ფულს სემენარისათვის.

*) „უტუ“ სასკლდობა ნიშნავს არ უკრებს ესე იგი არ გაწყებას... უტუე ქართულათ ნიშნავს გაწყება, ადგელი მივიცო.

საყურადღებო ამბები

შედეგი *)



ალამოზე ბ-ნი მინისტრი ჩაქვიდან გამგზავრებულია ქეთაისს, სადაც მეორე დღეს დაუთვლიერებია სამეურნეო სკოლა. სკოლა-

ში სამეურნეო ნაწილი გაუშინჯავს, შემდეგ დასწრებია კეკელის სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წყერთა სხდომას, სადაც მოუხსენია ორი მოხსენება. პირველი ეხებოდა სამეურნეო სკოლის გადაკეთებას: საჭიროაო ახლანდელი სკოლა გადაკეთდეს იმ გვარ სასწავლებლოთ, სადაც უნდა ასწავლონ შემდეგი საგნები: ენაბისა და ბოტანიკის გაწყება, მეფუტკრეობა, აბრეშუმის მოყვანა,

მებალოება და ლეინის კვება.⁶ აქვე პრაქტიკულით უნდა შესაწყალონო სიმინდისა და სხვა მეურნეობისათვის საქირო მცენარეთა მოყვანა და შესაფერი მოვლა. ამგვარ სასწავლებლის მოსაწყობათ საქიროა ნიეთიერი შემწეობა, ეს მოხსენება ბ-ნ მინისტრმა მოიწონა, მხოლოდ დაუმატა: სკოლის გადაკეთება ისეთი რთული საგანიაო, რომ ეს საქითხევი ასე ადვილთ ეგრ გადაწყდებაო, ვიდრე არ გამოირკვევა ამ საგნის სხვა-და-სხვა მხარე. ამას გარდა მართებლობასაც ამისათვის საქირო ფული ჯერ-ჯერობით არ მოგზაობებოა, მეორე მოხსენება ეტბად სასოფლო მეურნეობის ახლანდელ ვითარებას. მეურნეობის საზოიან ნიადაგზე დაყენებისათვის აუკლებლათ საქიროა ყოველ მაზრაში დაარსდეს დაბალი სამეურნეო სკოლა და მთელ გუბერნიაში კი ერთი საშუალო სამეურნეო სასწავლებელი. ამ ზრის განხორციელებაში უნდა მიღებულ იქნას იყმდეგი საგანებო ზომები: ლეინის აქციზი არ უნდა იყოს შემოღებული, რადგანაც ფილოქსერამ თითქმის ყველა ევნახები გაანადგურა, სიმინდის და სხვა სამეურნეო ნაწარმოებთა გასაზღვანი ფასი უნდა დაეკლოსო (ტარიფის შემცირება), საქიროა ელექტროი აშენდეს ერთ-ერთ ნეთ-სადგურში და აგრეთვე რკინის გზის რამდენიმე სადგურზე; მისაელი გზები გაკეთდეს (подъездные пути) და სიმინდის საცელი მინდვრები დაარსდეს; საქიროა ამას გარდა ევროპის მოყაპურ ადგილების საავენტრებს დაევალოსთ, გეაცნობონ ხოლმე სიმინდის ფასი და მყიდველების სხვა-და-სხვა პირობა. ქუთათისში უნდა გაიმართოს სახელმწიფო ბანკის განყოფილება, საიდანაც სესხის ვატანა შემცლოთ მეურნეთ. საქიროა გამოიჯენის საქმე დამთავრდეს ჩვენში. დასასრულ მოხსენების აეტროი ამობას საშინაო, საოჯახო მრეწველობის განაძლიერებლათ უნდა იგზავნებოდენ, ან რუსეთს, ან არა და საზღვარ გარეთ აქაურნი მკედლნი სხვა-და-სხვა ტუნიკის შესასწავლათო. მინისტრმა სიამოვნებით მოისმინა ყოველივე ეს და თქვა; ზოგიერთი ამ თხოენათაენი მალე განსრულდებაო, დანარჩენის ასრულებას ამ მოკლე ხანში ევრაზიით ევრ მოგახერხებთო. ლეინის აქციზის შემოღების თაობაზე მინისტრმა შენიშნა: აქციზი მხოლოთ გასაყიდათ ვასული ლეინოებზე იქნება დწესებულიო. აქაური ლეინოები კი ქუთათისის გუბერნიიდან არსად იგზავნებიან, ამიტომ აქაურ ლეინოს არ დაეებოა. ორივე მოხსენება მინისტრმა გამართეა აეტარებს.

ეენისთვის 20-ს, 8 საათზე, ბ-ნი ეროლოვი ტუბულისკენ გამგზავრებულია. სხვათა შორის მას მიყეებოდა სპირილონ სიმონოვიჩი, რომელიც უამბობდა მინისტრს, რა თვისებისა არიან გეოლოგიუ-

რი მხრით ის მთა-გორები, რომელთა სიმეენიერით ტუბებოდა ჩენნი სტუმარი. ტუბულის მკედლნი ბ-ნ გუბერნატორს უქია მინისტრისათვის. აქ არც ყახალობა და არც ჭურღობა არ იციანო. ბ-ნ ეროლოვს უთხოვია იქ მყოფ რაქის მემამულე ლუარსაბ ჭიქნაძისათვის გადაეთარგმნა ხალხისთვის, რომ მას სასიამოენოთ დარჩა ასე შემწეებუელი დედამიწის ნახე. ბ-ნ მინისტრს როცა დაუწახავს, რომ ძეგლ იარაღებს ხმარობენ, ხალხს დაპირებია, ახალ, გაუმჯობესებულ იარაღებს გამოავგზავნიო ვასასინჯათო, მინისტრს დაუთვლიერებია ნოვოსელისთვის ტუბულის ქეა-ნახშირის შესახებ და საზოგადოთ წარმაების გეგმას ვაცნობია. ტუბულში იმის პატივაცემით გამართულ სადილზე მინისტრს ორი შესანიშნავი სადღერგძელი დაუღეენა: ერთი ქეა-ნახშირის წარმაების საქმის აღორძინებისა, მეორე იმ მუშებისა, რომელნიც, მინისტრის სიტყვით, „თვიანთი მძიმე მუშაობით და სოცარი მხნეობით ნახშირს ოქროთ აქცივენ“. აქ ძლიერ ნასიამოენებთ დარჩა ბ-ნი მინისტრი და მადლობა გადაუხადა მწარმოებელთ საქმის წარმატების ზრუნვისათვის.

ამ მადნების ვამინჯვას შემდეგ მინისტრმა მოიწადინა შავი-ქვის წარმოებას ვაცნობოდა, ამისათვის მეორე დღეს ჭიათურას ვამგზავრა. ს. ჭიათურაში მწარმოებელნი ორ დასათ იყვენ განაწილებულნი. ერთი დასი თხოვდა შემოკლებულ საქალაქო დებულებას შემოღებას ჭიათურაში, მეორე კი მწარმოებელთა საბჭოს დარსებას. ორივე ზრი მოიწონა ბ-ნ ეროლოვმა და განაცხადა ორივეს ვანშორციელებას ვეცლებოა.

(დასასრული იქნება)

გრი გოლეთი დან. უმორწინესად ვოსოქ აქვალის⁷ პატივქმულ რეაქციას გამოაცხადოს შემდეგი: ნათივი ვევილო ენეკულოვი და მ. დეკანოზიშვილი დახმალაქდენ ერთი მუსლის კანონის უადგალოთ სანრებისათვის და ეადმომქეს თათო თუმანი, სილავი ვანკულოვს მთავო და თავისი თუმანი უკან წაიღო. სოლო წაკუკუსს ათ მანეთს წამოკადენ რა აქვალის⁸ რეაქციამა, მიანდალ მას შეწიროს ან რომელიმე მუქლო მოწაფის სასარგებლოთ, ან შეიკანოს რომელსაქ სუქულომთქმელი ფონდში. აი, ამ შირობით ეადმომქეს ზემოსსესესული ფული მონიდაქეკამს. ვოსოქ აგრეთვე „Honor Obozreniie“ რეაქციას ეადსრამოს ეს ამავე თავის ვაწყეთო.

თ. ჯაბა გურეელი

აქვალის⁹ რეაქციამ კადწყეობა: ეს ათი მანათო საელიტერატურო ფონდს მაქმატოს.



ნება მიბოძეთ მადლობა გამოვეცხადო თქვენი პატივცემულის ჟურნალის საშუალებით მარამ იყნეს ეს დეპურაცი, რომელმაც თანამკრწნობაზეან შეკრებილი ჩემ სსსრტეულოთ ოთხმოცი მანთი გადმოძღვა. აგრეთვე დიდ მადლობას ვწირავ შეიმოწმებოდა.

სტუდენტი წმ. ვლადიმირს უნივერსიტეტის
გასულ წერეთელი



სია ბათუმის ახალი ხმოსნებისა და კანდიდატებისა:

ბართაშვილი დ. ო., ბერძენიშვილი ე., ბუთანიშვილი, ვოლსკი გრ., გუდუცანიშვილი გე., გუგუშვილი აღ., დუმბაქი ნ., ელიაშვილი გრ., ივანოვი ო., კუბანეიშვილი გრ., ლომინაძე ავ., მკვალაძე ე., მესხი ო., მჭედლიშვილი ლ., მსიქე სეფე, ნიკოლაძე მ., საბაშვილი ნ., საბაშვილი სოფ., ერისთავი თ. ნ., შარვაშიძე თ. ლ., ბაკოვი დე., გრუცკი გ., ზროდლოვსკი სტ., კოჩეტიკოვი გე., ნეკლელოვი, პოლსკი ია., სვეტინი კაზ., სელიტრენიკოვი მ., სემენოვი, ანდ., ვაკეი, დეპოლიონი, დიმიტრიადი, ლაპტოვ, მისიალოვი, სიმონიდი მ. კანდიდატებათ: ავალის ნიკ., ვაქელი თ. სასანტრასვილი, ტეგუზა ფ., ანაშიძე ლ., ანაშიძე. ოდობა-მოოდო.



სასლენიკიდან სტ. მიმისტრასვილიდან მივიღეუ ხუთი მანეთი აფფფფის სსსსსო წიგნების გამოცემით შემოწმებული შემდეგი ჰირობისაგან: ეფრ. ნავ-შიდისგან, პრასკუკა ჭეთარბისაგან, ეფრ. ბერბისაგან და ჩინთო მიმისტრასვილისგან.

ლია წერილი ბ-ნ ბესარიონ მიტაქესთან



ნო ბესარიონ, თქვენ ვაზეთ, ივერიის საშუალებით აუწყეთ საყოველთაოთ, რომ „ვიწინაღ თეაროტილიაქსთან სამედიტორო საბართალოში გასულა ჩენი დამკირებაო“ და თანაც დასძინეთ: „მე კაცები დაწინაშეო ამ საქმის გამოსარკვევით და ნამდვილ ამბავს ის მოახსენებს საზოგადოებასაო“. იმ დღიდან მოკიდებული ავტო მცესრე თვე გადის და იმ საქმის არა ისმისრა. იქნება კდღეც დაგვიწყდათ? მაგრამ რომ არ დაკვიწყებით იმითი ვიცი, რომ მოწოდებებს ეუბნებით, წიგნებს და რვეულებს მაღაზიაში ნუ ყიდულობთ, ხოლო რაც რამე მათ დაჭირდათ, თქვენვე აწოდებთ მაღაზიაზე ძვირათ. მე გგონია ყველა შეგნებული კაცი მოეა-

ლვა წიგნის მაღაზიას დაეხმაროს, თეარა ხომ ვახსოვსთ მარშან ზუგდიდიდან, ორმოცდა ერთი ვერსის სიზორიდან, მოვიდა ბავში ექვს შაურიაინი (отечественная ист.) წიგნის საყიდათ. წიგნისთვის მისელა-მოსელას ორი დღე დაჭირდა. ნაცლოთ იმისა, რომ მოწადე და მასწავლებელი წიგნის მაღაზია დაუხალაო და ერთმანეთს ხელი შეუწყუნ, თქვენ კდლობთ ამისთანა საქმე კდღეც ჩააქროთ. თქვენ როგორც ვნებათ, ისე მოიქეცით, მხოლოდ ვთხოვთ სამკითხველოს საქმე როგორმე მალე გაასწოროთ. ის წიგნები მიიღეთ და მე განმათეისუფლეთ. ავტო თითქმის წელიწადი გადის სამკითხველოს საქმე მოყრებულთა, მე მსურს დამდგე იანერიდან უფრო სამკითხველო ვაგმართო და სანამ ერთმანეთში ანგარიშს არ გავასწორობთ, ისე მოუხერხებელია.

ოზურგეთი 1894 წ. 29 სექტემბერს
ი. თეაროტილიაქ

ჩემს ვარსკვლავს

I



იყუნარდა ქარი, ქარ-ბუქი,
ღრუბელნი მალა ქრებია;
ვარსკვლავთა ჯარი ცის თაღზე
გუნდ-გუნდათ იკრებიან.

მკერდით აპობენ ლამის ბნელს
იმათი მკვირცხლი სხივები,
რომ გაანათონ თოვლიან
მთათა მწვერვალნი ცივები.
წყვილაღქვეშ მიღუმებულნი
წყნარად იძინებს ბუნება
და ლამის ძილი საამოთ
მას ზღაპრებს ელუღუნება.



ველი იძინებს, სოფლებიც
 კორდებზე ჩანან მიმტკბარნი
 და უსულოთაც, ვით სულდგმულს,
 ათრობს სამოთხის სიზმარი.
 მიდუმდა ამ წაშს ქალაქიც...
 მყუდროთ წვეს ოგი მთის ძირსა
 და დღითი მუდამ მქოთავი
 ღამით ეძლევა ტბილ ძილსა.
 და წყარო იმის კალთებზე
 ზუტტუტით ჩამომდინარე,
 სულის ჰნაბავს, თითქო ცდილობსო,
 რომ არ შევაუთხოს მძინარე.
 ატკობს სიმშვიდე გრძნეული
 ამ ქვეყნის არე-მარესა;
 ძილი ეღება დამთრობი
 სამყაროს ყოველ მხარესა.
 მყარდება წაში საამო,
 მეუღლება იღუმელობა:
 ცით ისმის დამათრობელი
 ანგელოზების ვალობა...
 ეს წაში არის რჩეული დრო,
 დრო ფიქრთა აღფრთოვნებისა,
 სულდგმულათ გადაქცეული
 აზრთა და გულის ვნებისა.
 ზეკარდმო გადმოვლენილი
 მაღლი აფეთქებს მინწობასა,
 აღმა აურიანებს, უკარავს
 სამქვეყნიო ცნობასა.
 და ძალი შემოქმედობის
 გონებას იწვევს ცისკენა,
 ატოვებინებს ქვეყანას,
 გადაჰყავს სამოთხისკენა.
 და იქ მას ესმის დამტკობი
 ქღერა ციურის ჩანცისა,
 ღაღადი გულის წარბოტაცი,
 ხმა ათას გვირის ჰანგისა.
 გული დღუს, გრძობა ირხევა,
 ვით მყერდი ოკეანესი,
 იფეთქებს, მკვირცხლათ დასჭექავს,
 ბნელს არღვევს მისი ნაკვეთი,
 და ის ნაკვეთი გონებას
 ზეციურ ღამპრათ უნათებს,
 ნათელში გაჰყავს, უჩენებს
 დიდხნიდან ნანატრ სურათებს.
 სიტყვები მწყობრათ, გარკვევით
 ოცნებას ეკარებინა,
 წყალულს აღბუნებენ, ჰკურნავენ,
 მოღლილ გულს წამლთ ხედებთან.
 და სული აღფრთოვნებული
 მოიკლავს თავს წყურვილსა:

წარმოშობს დიდ აზრს, სურათად
 შეგგუფულ-შემობტურვილსა...
 ახლაც მსურს გაუვე გულისთქმას,
 ზღვასავით ანაზვირთებას,
 უძლეველ ფრთებზე დავეყრდნ
 ჩემს აზრს და უკვდავ ფიქრებსა.
 ჰაერის ზღვაში მოვცურო,
 ცელქით ვარღვიო ეთერი,
 გადავიბადო, შეეცალო
 მე ეს ცხოვრება ერთფერი.
 მსურს, მაგრამ ვრჩები აქავე,
 უარს ეყოფ ჩემსა სურვილსა,
 მე თითოვე ეძრახე ჩემს ფიქრებს
 და მშფოთარ გულის წყურვილსა:
 შენ რომ აქ რჩები, უშენოთ
 რა მიმცემს აღმაფრენასა,
 სადაც შენ არ ხარ, იმ ალავს
 ჩემთან რა უნდა ღვინასა?!

II

შენ მანდა გძინავს და გატკობს
 ძალი ძილისა წყნარისა,
 გულსა და სმენას გიტყუევებს
 ხმები ციურის ქნარასა;
 ეგ ხმა ჩემი გულისთქმის,
 შემკული ციურ ღონითა;
 თუმც ხორციელათ შორსა ვარ,
 მაგრამ შენთან ვარ გონათა.
 მოფფრინდი შენდა სამკობრათ
 და გულის დასამშვიდებლათ,
 ტბილის ციურის სიზმრების
 წამწაშზე დასაკიდებლათ.
 ხორცი დაეტოვე, სული ვარ,
 არსება აზრათ ქეუული,
 შენს დასაცუვათ შენს ახლოს
 შორიდან გამოწვეული.
 გძინავს და ტყერი წამწამთა
 ჩრდილავს შენს ელფერ სახესა,
 არ ისმის მიმტკბარ გულიდან
 არც მღელეფარება, არც კენსა.
 ეშიზობ, არ გნახოს ბოროტმა
 სულმა შენ ასე მტკბარათა
 და მიტომ ეღვევარ დარაჯათ
 მე შენს საუერხსა წყნარათა.
 გულს გინთებ ღამპრათ, წინ გიდგამ
 შიგ ცუცხლის ჩასაკვესათა,
 მის წმინდა აღზე შენს ფიქრებს
 ვაყრდობ და ვგზავნი ზეცათა,
 ზეგარდმო მაღლი ფრთას გისხამს,
 გიტაკებს აღმაფრენითა,
 ღრუბლის ტალიღები შენ გბანენ,

გარს გეგხევიან ლხენითა;
 ციურთ გალობა-ლაღლი
 შენ გესმის ღიღებულ ხმებათ,
 ეთამაშები ვარსკვლავებს,
 ხელში აგორებ ბურთებათ,
 მიღუღულ მთვარეს თუხს ადგამ
 და ხდები იმის მეფეთა,
 სემ წყაროს უკედავებისას,
 ეღემს რომა ჰლის მჩქეფრათა.
 თვით სამოთხე ხარ! შეიტკბე
 სამოთხისავე სიზმრები;
 აქ ხომ მონა ვარ მე შენი,
 იქაც ყმა შენი ეიქნები;
 ცამ გამომგზავნა მე შენდა
 საყმით და შესამკობრათა.
 მიქეშეგრლომღუ, მიმონე
 და ნუ დამტოვებ ობლათა.
 ყურს ნუ არიდებ ამ ჩანგის
 შეწყობილ ხმებზე მღერასა,
 ნუ დახშობ ჩემთვის გრძნობის კარს
 და ციურ გულის ძვერასა.
 ეს ხმა სამუდმოთ აწ შენს წინ
 სამოთხის ნათლათ ითხევა,
 მაგრამ თუ დამგმე, მაშინ კი
 კენესა სრემღებთ იტყევა.
 ეს ჩემი კენესა სხვა არის,
 არ ჰგავს მომაცდელთ გრძნობასა.
 ის უკადვია, რასაც კი
 თვით ზეცა წარმოშობავსა.

ეს ის შუქია, რასაც ვერ
 ძღვეს ვარსკვლავთ შუქი, ვერც მზისა,
 ის ტრფობა—რასაც ღეთისადმი
 გრძნობს გული ანგლოზისა.
 მეც ანგლოზათ მიგულე,
 მისებრ გულწმინდათ, მნათურათ,
 ზეციდან გამოგზავნილათ,
 ამ ქვეყნათ შენდა მსახურათ:
 რაც რომ შენ ვნახე, მას შემდეგ
 ეცანი მე ფასი სოფლისა,
 ვგრძენ ძალი შემოაქმედების
 და ნიჭის ცხოველთ-ყოფლისა.
 სხვა სალოცავი შენს გარდა
 არცა მყოლია, არცა მყავს,
 შენს წინ ვეღაღობ, ელოცულობ
 და წმინდა ლოცვა ცად ამყავს.
 სხვა ნურფინ ელის, შენს გარდა,
 ჩემსაგან კენესა-ოხვრასა,
 ნუ ელის ჩემგან ზეცაც კი
 ამაყის ქედის მოხრასა.

ყურს ნუ არიდებ ჩემს ღაღადს
 და ჩემის ჩანგის ქვერასა,
 რა კი გიხილე, ვერ შეეწყვეტ
 აწ მუღარებთი მღერასა.
 მე შენი ქვეშეღდომლობა
 თვით ცამ დამიღდა წესადა:
 თუ გამიწყერი, ხმას ეიცელი,
 გადაიქცევი კენესადა.

1 მისი 1894 წ. ქ. ქუთაისი.

ცხელი

მცირე შენიშვნა

მე ვინა ბაწია შენიშვნის გამო ბ-ნმა „მეველე“
 ღიღი თოფ-ზარბაზნის სროლა ატენა, მაგრამ
 მისი ბაზამორეული სიტყვები, ცხადია, მის
 სამართლიანობას არ ამტკიცებს. საუკეთესო მისი
 უტყუარი საბუთი ელისწამებაა, რომელიც ასე ჩი-
 ნებულათ ახასიათებს ამ ბოლოს დროს „ივერიის“
 თანამშრომლების ღირსებას. „კვალის“ რედაქციას
 უფრო სხვის სულსა და გულში უყვარს ზეღის ფა-
 თურია* (?) და სხ.—ბძანებს სამტყუენით გაწიწ-
 მატებული მეველე. ეტყობა, ბ-ნ მეველეს ან გან-
 ძრახ არ გაუგია ჩემი შენიშვნის აზრი, ან არა და
 იგი რიგანათ ვერ კითხულობს დაბეჭდილს. ჩვენ
 რა ეთქვით ის, რომ იყო დრო, როცა „ევაჟ-ფშა-
 ევლას“ წერილზე სტუდენტების მიმართ უსათუოთ
 უნდა ეთქვა რამე თვით „ივერიის“ რედაქციას, მით

უფრო, რომ უცხო ვაზეთებმა დაიწყეს კიცხვა ჩვენი
 პოეტისა და იმ დროს ევაჟ-ფშაველა თითქმის ჯე-
 რზედაც ატენს. აი, მაშინ იყო ელღებულო რედა-
 კტია ან წასარჩლებიდა თავის თანამშრომელს, ან
 და თავისი მკაცრი განაჩენი წარმოეთქვა სხენბული
 წერილის შესახებ. „ივერიამ“ კი იმ ხელათ არა თქვარა
 და ახლა, ორ წელს შემდეგ, როცა „ევაჟ-ფშაველა“
 აღარ იღებს მონაწილეობას „ივერიაში“, მაშინ მო-
 გონებია მისი წერილის გამო სასტიკი განაჩენის და-
 დგენა. ნუ თუ აქედან მკითხველისთვის ცხადი არ არის,
 რომ „ევაჟ-ფშაველას“ გაიკიცხა ამ წამად „ივერიის“
 რედაქციისაგან უადგილო და ძალით წაჩხირული იყო-
 ჩვენ ეს შენიშვნით მხოლოდ და, ეგონებთ, აქ არც
 სხვის რგულში ფათური და არც სხვის სულში
 ჩხრეკაა*. ამ გვარნი მეფათურენი და მხსრეკენი თავის
 ახლოს რომ მოეძებნა ბ-ნ მეველეს, ის, უეჭველია,
 აღმოაჩენდა სწორეთ ისეთ „თანამოკლმე“ პირებს,
 რომელნიც არ ერიდებიან ამ გვარ ხელის ფათურსა


ღმგზობას. ასეთ ლიტერატურულ ფანდებს, „კვალის“ საწინააღმდეგოთ ხმარებულს, „ივერიაში“ ბევრსაც დაუსახებლებდით დარბაისლ მეველეს, თუ ენებებოდა. „კვალს“ უნდა შეიტყოს, ხოლომეა—ბძანებს მეველე — რა პირადი ანგარიში უნდა ჰქონდეს ავტორს, როდესაც ამა თუ იმ აზრს ამბობდა იგიო. ამ გვართ იქცევა „კვალი“ ავტო წელიწად-ნახევარია ჩვენი წერილების შესახებო“ და სხ... როგორც ჩანს, მეველეს მხედველობაში აქვს საპოლემიკო წერილები გაწვენიებული ეგ. ნინოშვილის, ბ-ნ პატრიშვილისა ფხასი და სხვათა. ეთხოვთ ბ-ნ მეველეს, გეჩვენოს რა იყო ამ წერილებში იმისი მსგავსი, რასაც თვით ბძანებუ აზრ, ბატონო. ამ წერილებზე რომ საბუთიანი პასუხი მოგეცათ და ჩვეულებრივით არ გაუთმებულ რეაქციით, მაშინ მართლაც საკმაოთ გამოირკვეოდა „ბურუსით“ მოცულთ თქვენი აზრებით და უფრო ცხადთ დავინახავდით, თუ რა მიზნებით მოზოხრდენ „ივერიას“ ნიჭიერი მწერლები და მათ შორის ევაფუშაველც. ახლა, რასაკვირველია, შეგძლიათ თქვათ: „არ დაუფიქრდეთ და იმიტომ წვიდნო“.

ძალიან კბილის კბით გაჩენია ბ-ნი გ. წერეთელი „ივერიაში“ რედაქციას. რაც კი დაწერება ფსევდონიმით „კვალში“, ყველას ბ-ნ გ. წერეთელს აზრალეებენ. დავარწმუნებთ, ბ-ნ მეველეს, რომ თანამშრომლების მხრივ ჩვენი გავითარისე არა „მწირობას“, როგორც სხვა რედაქცია. ჩვენ რომ გვიწოდდეს იმავე საწყობით მიუფუყოთ პატივცემულ რედაქციას, მაშინ ხომ ვილაქ ევიშვებვის“ „დოგონების“ „ჩიტი-ჩიტი-რების“ და სხვათა ამთ მზგავსთა ნაწარმოებს მივაწერდ-თ თვით „ივერიაში“ ბურჯის, რომელიც მხოლოდ „იფრმას“ აძლევს თანამშრომლებს და როგორც ეტყობა, კიდევ თავილობს თავის გავითარისე მონაწილეობის მიღებას.

ტყუილათ ნუ აბრალებ, ბ-ნო მეველე, გ. წერეთელს იმ შენიშვნას, რომელიც იყო „კვალში“ ჩემ მიერ დასტამბული თქვენი პრისხანე სტატიის გამო ევაფუშაველას შესახებ. „გულ-გატეხილი“ ასეველინიმი სულ სხვა გავითარისე და თუ ძალიან გსურთ ჩემი ეინაობის შეტყობა, მაგაზნდაც უფარს არ გეტყვით.

გულ-გატეხილი

პირუტყვთა მეფე

ომ ერთი შეხედვითაც შეეტყობა, რომ იგი გაუჩინია ღმერთს პირუტყვთა მეფეთ. ძლიერი, მამაცი, მხნე, ახოვანი და მედიღული სიწყნარე, აი, ნამღვლი მიფუფრი ღირსება, რომლითაც აღჭურვილია ეს ტყის მეფე. ეს ცხოველი თითქმის თვითონაც გრძნობს თავის დანიშნულებას ტყის ნადირთა შორის და მეფუფრი თვით-მპყრობელობითაც ექცევა მათ.

ძეღლათ ღომი ყოველგან იყო თბილ ქვეყნებში. ასურეთში და საქართველოშიაც ბევრი ყოფილა; მაგრამ კაცი და ღომი — ეს ორი ცხოველთა მეფე ერთად ვერ მოიხიბებულან. კაცს უძლევი და ღომს თანდათან დაუთმია დაშენებული და დასახლებული ალაგები დაშეკედლებია, გაქცეულა ცხელი ქვეყნების მიუღებლ უდაბურს კლდიანს და ტყიანს ალაგებსა. კაცობრობის ისტორიაში ბევრი ამებუი დარჩენილა კაცისა და ღომის ბრძოლისა. ასურეთის მეფეებს სასახელოდ მიანდათ ღომზე გამარჯვება და მათ სასახელების ნანგრევებზე, მათ ღროის მანეთებზე და ქუჩულებზე მრავლია გამოხატული ასურეთის მეფისა და ღომის შეტაკება ერთმანეთთან. გვიხსენოთ თვითონ ბიბლიის მოთხრობიდან სამსონ ძლიერის მიერ ღომის გახლენა, ან „ეფფხის ტყაოსანში“ ტარიელის მიერ ღომების ხოცვა. ყოველივე ეს

ამტკიცებს, რომ კაცობრობას კულტურას დაუძლევი ღომები და განუდენია იგინი ძეღლათეე შორს უდაბურს ქვეყნებში.

დღეს ღომები ევროპაში და საქართველოში აღარ მოიძებნებიან; აგრეთვე ძალიან იშვიათია ღომი სპარსეთში და ინდოეთის საზღვარზე, ისიც დარჩებულა, პატარა ტანისა. დიდი ტანის ღომები და სხვადა-სხვა ფერისა მოიპოებიან მხოლოდ აფრიკის მიუღელ უდაბნოებში. ისინი არიან ისეთი, ანუ რუხები, შავი და წითელი ფერისანი. შავი ღომი უფრო მაროკოს სახელმწიფოს მთებში ბუნავობს და ძალიან იშვიათაც არის; უფრო სშორათ ხედება კაცს წითელი ფერის ღომი. ხვად ღომს დიდი თავი აქვს, ბეჭებამდის გძელი ფაფრით შემოსილი, ძუ ღომს კი ფაფარი არა აქვს. იმას ერთი თათის დაკვრით შეუძლია ძროხას მკერდ ამოგლიჯოს. ისეთი ღონიერია, რომ ხარს მოიკიდებს ზურგზე და გაეჭეკვა. ინგლისის მონადირე ტომსონი ამბობს, რომ ერთხელ არაბებთ ცხენებით გამოუდგენო ღომს, რომელსაც ორი წლის მოზვერი შემოაგდო კისერზე და მთარბენინებდაო. ხუთი საათის განმავლობაში კენებით მიდევდენ უკან და ვერ დაეწინო. ღომი დღისით ამოირჩევის ხოლმე მაღლობ ტყიანსა ჭკლდიან ადგილს. იქიდან ათეაღიერებს ვარკვოს, მაგრამ უფრო სშორად კი ძინავს; ხოლო ღამით გამოდის სანადირათ. მისი ხმა მოავგონებს გრკვეინას. ის მადის

პირდაპირ სოფელში, საცა საქონელი ეკუთვნება, მის ხმაზე აქოემი, ხარი, ძროხა და წერილ-ფენი საქონელი შეძრწუნდებიან ხოლომე და საოცრათ ბღაეიან. ლომი როცა მოვა საჯოგეში, საქენ-ნახევიარ კედელზე ერთი ნახტომით თავს გადადევლებს, მოიტაცებს ძრო-

მეჩი, რომელიც არ ერიდება ლომს და თუ შეხვდა, რქებით დამვირავს და თავით გათვლავს. ამ ჩვენ სურათზე გამოხატულია გარეული აფრიკის კამეჩის შემბა დედალ-მამალ ლომთა. როცა დედალი ლომი გაუსრესია, მამალი ამ დროს იმის ზურგზე შემბა-



პირტუკუა შეფი.

ხას და იმინაისეე უკან გადმობტება და გაუყენებს გზას. ერთი გარეული ცხოველია, სპილოსა და მარტეარქას გარდა, რომელთავეც ლომს არ არგია შეტაკება. ეს არის გარეული აფრიკის უდაბნოს კა-

რა და ცდილობს თავის მეუღლის დაფარვას. ლომები ხან ცალკე ნადირობენ, ხან ძუ და ხედი ცოლ-ქმარსავით ერთათ ცხოვრობენ და ერთათაც ნადირობენ.



Handwritten signature: შიშქაძე

ბოლღარეული ქალი

პარტახი

(მოთხრობა გვ. ნინოშვილისა).

შემდეგ *)

II

ღერან ტვერიძე, გლახ-კაცის პირობაზე, ძალიან სახელოვანი ყმაწვილი კაცი იყო თავის სოფელში. მაღალი ტანის, ზეკებში კა-

რგა მოყვანილი, ცოტა მოშვევერებნაო, ვაჟკაცური ლამაზი პირისახის და რაც შეეფერება უსწავლელ კაცს, კარგი სიტყვა-პასუხის პატრონი. ამასთან მუყაითი მუშა და მეოჯახე. იმ სოფელში ჯერაზზე უკეთესი და შეძლებული გლეხი ორიც არ მოიპოვებოდა. ორ-ოთახიანი, ყაერით დახურული ფიცრის სახლი, მეორე კიდევ ისლით დახურული პატარა ფიცრული სახლი საქმლის საკეთებლათ, კი ბედელი, ფაცხა, „ნალია“*), ოჯახისთვის საჭირო სვე-

*) იტილქვალი № 41

*) ნალია — სასიმინდე.

დასხვა პატარა შერობები, ერთი უფელი ხარი, ორი მწველი ძროხა, ღორები,—ესენი ყველა მოგზაობადა ჯერანს და ეს დიდ შეძლებათ ითვლება გლეხ-კაცობაში. ამასთან პატარისაგან დახსნილი თორმეტი კუჭი დასკოთარი მიწა—საყანე და გენახიანი, კარგე მოხილი ცხრა, ნიგების ხეები და ჩრდილოელი, ცხობე მოდებული „სახეხი“, რომელშიაც შუმა, წყნელი, სარი და სხვა ამისთანაობა თავის დღეში არ გამოვლიდა. რა ბანებმა, გლეხობაში ჯერანისთან შეძლებული ასზე ერთი ძლიეს მოზობემა. მართალია, ჯერანს თავისი ოჯახის მოწყობა დიდ შრომით დაუჯდა, ბევრჯელ ღამე დღეზე მიუტანებდა მუშაობაში, ბევრჯელ ისე გაქორცილება ტერიტორია თავისი ვაჭრის დღე უწყველია. როცა სახლის და ბელის ფიქრები გამოქონდა ტყიდან, მხრები და ზურგი დაუსტრანე ცხენის ზურგივით დაუშვედა, ტუჩები დაუსტრანე და სისხლი მოსდიოდა ზედ. მაგრამ ისიც კარგია, რომ მისი ამ გვარი შრომა დაუჯილდომებელი არ დარჩა. უმეტესი ნაწილი გლეხობისა ჯერანზე ნაკლებ შრომას არ უწევს, მაგრამ მაინც არ ახადია რა. ახლა ჯერანს სხვა-დასხვა მოვალეობის გადახდაც აღარ უჭირდა სხვა გლეხებისგან: ხან სიმინდს ყიდდა, ხან ღამის და ამ საშუალებით ყოველთვის თავის დროზე აძლევდა „ფორას ფულს“ და სხვა გადასახადებს. ამას შემდეგ ვასაკვირავალი არ არის, რომ ჯერანს ბევრი იმ სოფლის გლეხკაცი ნატრობდა სიძეთ, ბევრ ღარიბ აზნაურიშვილის ოჯახსაც ეჭირა თვალი ჯერანზე—ეინიცობა, ცოტა რამ, რომ მოგვეცეს სასყიდლოთ, ჩვენ ქალსაც მივთავაზებთო. მაგრამ ჯერანს ძლიერ თუბილობა და აზვიადება ცოლის შერთვას: „კი, პაპი რომ დღეობარჯო, აზნაურის ქალს მომიცემე ცოლათ. მარა რაი! დაჯდება ამ ჩემ ნაკეტვე ოჯახში და იტყვის: ჩემი ბედმა ყახაზის ხელში ჩამავლო და ჩემ სიკაცლოვში მაინც ეკვამ მის ოჯახსო. გეიჩენს კურაობს და ეინცხას მომაკელიებს. არაა ჩემი საქმე!“—ფიქრობდა ჯერანს. გლეხის ქალებში ატანდა თვალ-ყურს, მაგრამ ჯერ ევრსად ენახა შესაფერი: ზოგის თვალბობა არ მოწონდა; ზოგი ღამაზი იყო, მაგრამ მშობლები მებრის-მეტათ ღარიბი ჰყავდა და ამიტომ წუნობდა; ზოგი ღამაზი იყო. გლეხის პირობაზე შეძლებული ოჯახის ქალიც, მაგრამ იმისთანაი ეშმაკური თვალბობი აქ, რომ წმინდათ ვერ შეინახავს თავს*ო და ამიტომ არ ირთავდა. ამასთან ჯერანს ცოლის შერთვა ისე არ შეეძლო, თუ მისი დედა და და თანახმა არ იქნებოდნენ. იგი კაცთ არ მიხსენებია, ეინც დედის უნებურს იზამს*ო—ამბობდა ჯერანს, რომელი მართალია და დიდი პატივით ეპყრობოდა დედას და დას. ამ უქანასკნელებს, რასაკვირველია, მზე ჯერანზე ამოდიოდათ. მართალია, ხანდა-ხან უქმყოფილებაც მოუვიდოდა ჯერანს ან დედესთან, ან დასთან, აწყენიბიბდნენ ერთმანეთს, გაიბუტებოდნენ, დაძღვრდებოდნენ, მაგრამ კარგათ რომ გაეგმინჯათ მათი უქმყოფილების სავანი, აი, რა

გამოდიოდა: რომელიმე ამთავანი რამე მიხსენსა ვაძო უსაყვედურებდა მეორეს—ჩემი სიყვარული და პატივცემა არ გაქვსო. ეს უქანასკნელი იწყენდა,—იქვი როგორ მშე-იკრანა ჩემზეო: იგი თვარ მიყვარს, ახა, ელა მშეყარება ქვეყანაზე სხვა*ო. ამ მიხსენსაგან ვაძოწყვეული საყვედური გვერიაან ქარბუქით გადაიქცეოდა, მაგრამ დიდხანს ვერ გაატანდა, აღრე ცხობოდა და მთელი ოჯახი ისევე ერთ სულათ და ერთგულათ ცხობებდა. ამ ერთ სულ-გულობას ხელს უწყობდა ოჯახის მცირე რიცხვიანობა: დედა და დამა,—ამათზე მეტი არაიენ იყო ჯერანის ოჯახში. ხვარამზე (ჯერანის დედის სახელია) დადიოდა მკითხავენთან და აკითხებდა—ჯერანს როგორი ბენი მიგელის ცოლის შერთვაშიო. მკითხავენი აინედებდნენ „დღი ბენიერი შიქენება ცოლის შერთვაშიო. მაგრამ თუ ეინ უნდა აერიხა ხვარამზეს საძილოთ, ამის შესახებ არ არას ეზნებოდნენ. ვაქშიშვილოს დაქორწინებას ვარდა, ხვარამზეს ქალიშვილის გათხოვებაზედაც უნდა ეზრუნა. ელისაბედ (ჯერანის და) წლოვანებით უფროსი იყო ძამზე. მაგრამ ხვარამზეს ფიქრით, ვაქშიშვილის შესახებ ზურუნავს დედისთვის ყოველთვის უპირველესი ადგილი უნდა ჰქვოდა. ამ მოსახრების წინააღმდეგ ელისაბედიც ვერას ვამბედა, თუმცაღა კი მისი გათხოვება საქმედად დგებოდა.

მაშინ თვარამე წლის იყო ელისაბედ, რომ შეუყვარდა ერთი მეზობელი ყმაწვილი კაცი, რომელსაც ყანა ჰქონდა ჯერანის ზარი. ეს იყო კარგი თვალ-ტანად მუშა-ბიჭი, ოცი, ოც-და-ორი წლისა. ბევრი ღამე ვაეტარებდა ელისაბედს უძილოთ ამ ყმაწვილზე ფიქრით; დარწმუნებული იყო, რომ ეს ყმაწვილი კაციც თავის მხრივ არ იყო გულგრილი მასთან,—უყვარდა ელისაბედს. მაგრამ ეს სიყვარული ისე გამოუტყმებოდა ჩალა ელისაბედმა თავის გულში, რადგანაც ბოზობათ ჩათუთელიდნენ დედა და ძმა, რომ ვაემბოლა—მიყვარს და იმზე ვამათხოვეთო, ახ კიდევ ძმის დაქორწილებაზე როგორ უნდა გათხოვებულიყო!

თუმცაღა თავის გათხოვების საქმეში ელისაბედს არ ქონდა ხმა და უფლება, მაგრამ ძმის დაქორწილებაში დიდ მონაწილეობას იღებდა, პირდაპირ მოვალეობათაც თვლიდა თავის მხრივ ამ საქმეში მონაწილეობის მიღებას. მისი ფიქრით, სულ მთლათაც დედის და დის მოვალეობა იყო ჯერანისთვის საცოლო ქალის მონახვა. მამა რომ გვეყვდეს ცოცხალი, მაშინ ჩვენ აღარ გვექნებოდა ხმაი. მარა მამა აღარ გვეყვს. ჩემი ძმის ჭირისუფალი ახლა მე და ნენია ვართ. ახლა ჩვენ თუზეა მისი ცოლის შერთვა—ფიქრობდა ელისაბედ. როგორც დედა მიხსი, ისე ელისაბედიც დადიოდა მკითხავენთან ჯერანის ბედის საკითხავთ! ჰქონდა მოლოანაკება შუამავლებთან; ზოგ შუამავალს დედის დაუკითხავათაც უპირით ისტუმრებდა. ერთ-ორი შუამავალი კიდევ გამოლანძღა—რაგა ვაბედ ჩემი ძმისთვის ასე გლახა ქალის თქმა*ო. რაც შეიძლება გლეხის ქალისაგან, ელისაბედ ამპარტყენი და მედღური ქალი იყო: ამიტომაც არც ერთი არ მოწონდა ამ

ქალბებში, რომდებსაც მისი ძმის საცოლოთ ასახე-
ლებდებოდა შუამდებლები. მისი ფიქრით, ჯერანის ცო-
ლი ძლიერ კარგი თვალ-ტანადიც უნდა ყოფილი-
ყო და კარგი ოჯახის შვილიც; ჭკუა-გონება და სი-
ტყუა-პასუხის პატრონი, აბა, რასაკვირველია. სწორით
მოსულია ელისაბედს ძმასთან უმკაყოფილება, როცა
ამ უკანასკნელს უხუმრია ესა და ეს ქალი უნდა შე-
ვიერთო.

— არა, მოთხარი, რავე გვიცელე გულში ამის
შერთვა?!— ეტყობა საყვედურით ელისაბედ.

— რეიზა, ვითამ, რა უჭირს, მე კი მომწონს
